# საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის

## ბრძანება №39

## 2016 წლის 27 აპრილი

## ქ. თბილისი

**„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 21 დეკემბრის №116 ბრძანებით დამტკიცებულ წესში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 21 დეკემბრის №116 ბრძანებით (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 23.12.2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 130070000.63.075.016026) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. შეიარაღებისა და სპეციალურ საშუალებათა გაცემისა და მიღების აღრიცხვის წიგნი – ფორმა №15 (დანართი №15).“.

2. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17 და მე-18 პუნქტები:

„17. მორიგეების მიერ იარაღისა და საბრძოლო აღჭურვილობის მიღებისა და ჩაბარების აღრიცხვის წიგნი – ფორმა №16 (დანართი №16).

18. შეიარაღების დანაყოფის მიერ სამორიგეო დანაყოფისათვის იარაღისა და საბრძოლო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აღრიცხვის წიგნი – ფორმა №17 (დანართი №17).“.

3. ბრძანებით დამტკიცებული დანართი №15 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

4. ბრძანებას დაემატოს თანდართული შინაარსის №16 და №17 დანართები.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს სახელმწიფო**
**უსაფრთხოების სამსახურის უფროსი** **ვახტანგ გომელაური**